ცნობის ფურცელი

№ 1705 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ოთხშაბათი, 23 იანვარი № 1705

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	5 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

21 იანვარს გარდაიცვალა

ელისაბედ დონიკის ასული ბროძელი

დედამთილი—ევემია ბეჟანის ასული ბროძელი, და კნეინა მარიამ ანდრონიკაშვილისა, მაზლი—ნიკოლოზ იოსების ძე ბროძელი და რძალი ბარბარე პავლეს ასული ბროძელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე და შუადღის 12 საათზე. გარდაცვალებულის გვამს 24 იანვარს დილის 10 საათზე გაასვენებენ ანჩისხატის სობოროში, იქიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, თავის სახლიდან, ეგზარხის მოედანი № 12. (1—1)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დ. მ. აწყურელის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

I

საგიჟეთში

კომედია-ფარსი 3 მოქ. გად. თ. ხუსკივაძის-მიერ

II

ორი მეძებარი ერთ ნაკვალევზე

კომედია 1 მოქ. თარგ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობენ: ქ. ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

III

თავ. ოსიკო ბარათაშვილის მონაწილეობით

დივერტისმენტი

ბ. ივანიძე წაიკითხავს ლექსებს; თავ. ოსიკო ბარათაშვილი ქართულად იმღერებს; ბ. გ. ურუშაძე წაიკითხავს ახალ გურულ სცენებს; ბ. დ. აწყურელი წაიკითხავს კინტოურ სცენებს.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება: „ტყვე“, „ზოგი ჭირი მარგებელია.“

რეჟისორი ვ გუნია

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24.

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი“

სპ. ქელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიოს ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—9)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

საღამოს 9 საათიდან დილის 7-მდე ექიმები მორიგეობენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

რედაქცია გაზეთ «ივერიისა» ბოდიშით აცხადებს ხელის-მომწერთა საყურადღებოდ, რომ **აზნ. ექვთიმე ივ. ხელაძის სტამბის** მოულოდნელად დახურვისა გამო, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, დღევანდელი ნომერი არ გამოვიდა. (1—6.—1)

მთავარ-მართებლის სავალდებულო დადგენილება

კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა იანვრის 18 გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება:

მუხ. 1) ხალხის ყრილობა ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებსა, ქარვასლებსა და ვაგზლებში და სხვა საზოგადოებრივს ადგილებში ისეთ თათბირისა და მოქმედებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივს წესიერებას და მშვიდობიანობას და აგრეთვე თავის-მოყრა ცნობის მოყვარე ბრბოისა—აღკრძალულია.

მუხ. 2) თავ-მოყრილნი ვალდებულნი არიან პოლიციის პირველის მოთხოვნილებისამებრ დაუყოვნებლივ დაიშალნენ.

მუხ. 3) ვინც სიტყვა-შეუბრუნებლად და დაუყოვნებლივ არ დაემორჩილება პოლიციის მოთხოვნილებას, იმათ, თანახმად მე-15 და მე-16 მუხ. სახელმწიფო და საზოგადოებრივის მშვიდობიანობის წესდებისა, გარდახდებათ ჯარიმა 500 მანეთამდე, ანუ დაპატიმრებულ იქნებიან ხუთ თვემდე. ამ სასჯელის დადება და დაჯარიმება, თანახმად გაძლიერებულის დაცვისა წესდების მე-16 მუხ. პირველის პუნქტისა, მივანდე ტფილისის გუბერნატორს.

მუხ. 4) ამ სავალდებულო დადგენილებას ძალა ეძლევა გამოცხადების დღიდან.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. ამ ბოლო დროს დეპუტატებიცა და გაზეთებიც სწერენ, ვითომ ინგლისისა და ბურების მთავრობას მოლაპარაკება აქვთ გამართული ზავის თაობაზედ, შუამავლობას ჰოლანდიის მთავრობა ეწევაო. თუმცა ბევრი უარ-ჰყოფს ამ ცნობის სინამდვილეს, მაინც ურიგო არ იქმნება გავიგოთ, თუ როგორ უყურებენ ამ საქმეს ინგლისისა და ბურების მთავრობა. ლორდ სოლსბერის აზრი ამ საქმეზე ხომ ვიცით კიდეც. სოლსბერის აზრით, ინგლისს შესახვეწარი არა აქვს-რა, ამიტომ თუ თვითონ ბურები არა სთხოვენ ზავსა, ინგლისის მთავრობა პირველი არას დროს არ დაიწყებს ზავზე ლაპარაკსაო. ამ საქმის თაობაზე კოლონიების მინისტრს ჩემბერლენსაც ულაპარაკნია. ხომ იცით, ნამდვილად პირველი მინისტრი ეხლა ჩემბერლენია და ამიტომ მეტი არ იქმნება, მისი აზრიც გავიგოთ. კოლონიების მინისტრს 7 იანვარს დეპუტატთა პალატაში უთქვამს:

„რაც კი ჩვენამდე ბურების დოკუმენტებმა მოაღწია, ყველა ცხადად გვიჩვენებს, რომ ბურები ისევ ისე წინანდებურად ერთსა და იმასვე აცხადებენ: გადაწყვეტილი გვაქვს ბრძოლაზე ხელი არ ავიღოთ, სინამ სრულს დამოუკიდებლობას არ ვიშოვითო. ამიტომ რაღა საჭიროა, ბევრი ვილაპარაკოთ იმის თაობაზე, თუ რატომ აქამდე არ ჩამოვაგდეთ ზავზე ლაპარაკი ბურებთან. თუ კი სარწმუნო და საიმედო კაცები ზავზე ლაპარაკს დაგვიწყებენ, მაშინ ლორდ როზბერისა, ასკვიტისა და გრეისა არ იყოს, ჩვენ ყური არ უნდა მოვიყუროთ და ამ კაცების ლაპარაკი რიგზე უნდა ავწონ-დავწონოთ. ამ მუხლში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ლიბერალ-იმპერიალისტებს. მაგრამ იმაში კი არ ვეთანხმები ლორდ როზბერის, ვითომ ჩვენ ყოველ წამს მზად უნდა ვიყვნეთ ზავი იმ პირობით შევკრათ, რა პირობაც ადრე ლორდ კიტჩენერმა გენერალ ბოტას დაუდო. მაშინ ხომ ბურები იფიქრებენ, დღეს რომ რომელიმე პირობა უარ-ვყოთ, ხვალ შეგვიძლიან ისევ ეს პირობა მოვითხოვოთო.—ესეთი ფიქრის საბუთი არას დროს არ უნდა მივცეთ ბურებს. ეს მეტად ცუდი პოლიტიკა იქნებოდა. ამისთანა პოლიტიკა უფრო წააქეზებდა, გულს გაუკეთებდა და ბრძოლის ხალისს გაუღვიძებდა ბურებს, ჩვენ კი თავად უამისოდაც ბევრი ხალხი და ფული დაგვეღუპა მას შემდეგ, რაც ბურებმა ლორდ კიტჩენერის პირობები უარ-ჰყვეს. ჩვენ ისევ წინანდელი პირობების მსგავსს პირობებს დაუდებთ ეხლა ბურებს, მაგრამ უსათუოდ კი შევცვლით ამ პირობებს.

ამას გარდა ნება გვაქვს ვკითხოთ იმ კაცებს, ბურების წარმომადგენლების სახელს რომ ირქმევენ: აბა, ერთი გვიჩვენეთ, სად გახლავს თქვენი რწმუნებისა და ნდობის სიგელები? მთავრობა ჯერ უნდა დარწმუნდეს, რომ ბურების წარმომადგენელთ უფლება აქვთ იმ მეომარ მოქალაქეების მაგივრად ილაპარაკონ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან. ჰყავთ კი სადმე ბურებს ისეთი წარმომადგენლები, რომ შესაფერისი უფლება ჰქონდეთ ამნაირი საქმისათვის? კრიუგერმა და იმისმა წრემ დაჰკარგეს მეომარი ბურების ნდობა. ისიც კი საეჭვოა, მაგალითად, შტეინსა ან შალკ-ბურგერს, დელარეის, ან დევეტს შეეძლოთ ყველა მეომარ ბურების მაგიერ ილაპარაკონ? განა შტეინმა არ დასწერა ერთს თავისს წერილში: „თუნდ ჩვენ, სარდლებმა, მორჩილება გამოვაცხადოთ, ჯარი-კაცები მაინც არას დროს არ დაჰყრიან იარაღსაო“? თუ კი ისეთი კაცი გამოჩნდება, რომ ყველა მებრძოლ მოქალაქეთა მაგიერ შეეძლოს ლაპარაკი, მაშინ ზავის პირობები უნდა მოვუსმინოთ და თუ ეს პირობები სამართლიანისა და მკვიდრი ზავის ჩამოგდებას ხელს შეუწყობენ, ჩვენც დავსთანხმდებით ამ პირობებს.

მგონია, რომ ამ საქმეში სავსებით ვეთანხმები ლიბერალ-იმპერიალისტებს. ოპოზიციის წინამძღოლ კემპბელ-ბანერმანზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთ მუხლში გადაჭრით არ ვეთანხმები. ოპოზიციის წინამძღოლი ირწმუნება, მაგალითად, რომ ჩვენ ვჟლეტავთ ბურებს, მთელი ერის გაქრობა გვწადიან. ძლიერ პროტესტს ვაცხადებ ამისთანა ბრალდების წინააღმდეგ და ვსთხოვ ოპოზიციის წინამძღოლს, ერთი საბუთი მაინც დაასახელოს იმის დასამტკიცებლად, ვითომ ჩვენ ბურების ამოწყვეტა გვწადდეს. ჩვენ გვაბრალებენ, ვითომ ბურების „უპირობოდ, ულაპარაკოდ დამორჩილებას“ ვცდილობდეთ. არ მჯერა, რომ ჩვენი სამინისტროს რომელსამე წევრს ეს სიტყვები ეთქვას, მაგრამ თვითონ უპირობოდ, ულაპარაკოდ დამორჩილებაც კი არ მოასწავებს ხალხის ამოჟლეტას. ოპოზიციის ზოგიერთი წევრი კანადის აჯანყებას იხსენიებს და გვირჩევენ ლორდ დარჰემის მაგალითს მიბაძეთო, ის კიავიწყდებათ, რომ აბა ლორდ დარჰემი თხოულობდა ან ულაპარაკოდ დამორჩილებას. აჯანყების მეთაურთაგანს არცერთს არ აპატია; 25 მეთაური სიკვდილით დასაჯა, 158 კიდე დაკარგა, ან კანადიდან განდევნა. შეერთებულ შტატებსაც რომ მოქალაქებრივი ომი ჰქონდათ, მაშინაც ყველა იმ ღონისძიებას ხმარობდნენ, რასაც ეხლა ჩვენ სამხრეთ-აფრიკაში ვხმარობთ. მხოლოდ ჩვენ ვაცილებით უფრო ლმობიერად ვიქცეოდით, ვიდრე შეერთებული შტატები და ლორდი დარჰემი იქცეოდნენ.

როგორც ამერიკამ და ლორდ დარჰემმა დაიმორჩილეს აჯანყებულნი, ისე ჩვენ კიდე ბურებს დავიმორჩილებთ. მაინც თან-და-თან ჩვენ ძლიერ ვიმარჯვებთ. ამ ჟამად 2000-მდე ტრანსვაალელი ბური ჩვენ მხარესაა და თავიანთ თანამოძმეების წინააღმდეგ იბრძვის და მეომარ ბურების სიჯიუტეს თავიანთ ერის დაღუპვად სთვლის. ცეილონისა და ბერმუდის კუნძულებზე მყოფ ტყვე ბურებს უსარგებლოდ მიაჩნიათ ომის განგრძობა, მზად არიან ინგლისს ერთგულება შეჰფიცონ და ინგლისის სამსახურშიაც კი შევიდნენ... ჩვენც გვწადიან ზავი, ეგ არის, რომ მკვიდრი ზავი გვწადიან; ამისათვის უეჭველად საჭიროა, რომ დამარცხებული ერი გამოტყდეს და თავისი თავი დამარცხებულად აღიაროს. ეს ნამ-

ცეცხლსაც არ დაამცირებს ამ ერს, რადგანაც ინგლისი შეუდარებლად ძლიერია ბურებზე. მთავრობა დიდ პატივსა სცემს ბურებს მამაცობისა და მედგრობისათვის და სრულებითაც არ ჰფიქრობს იმათი ჯავრის ამოყრას. მთავრობა დიდის ხალისით განიხილავს ბურების პირობებს, ოღონდ ეს პირობები გონიერი იყოს და ეცდება, რომ ზავის შეკვრის შემდეგ, რაც კი შეიძლება, მეტ ხალხს აპატიოს, მაგრამ ამავე დროს მთავრობა არას დროს არ მოიქცევა ისე, რომ სისუსტე და ან გაუბედაობა დასწამონ“.

ყველას გაუკვირდა თურმე, რომ ჩემბერლენმა ასე თავდაჭერით ილაპარაკა. საყურადღებო ისაა, რომ ჩემბერლენიცა და სხვა მინისტრებიც აღარა თხოულობენ ბურებისაგან უპირობოდ, ულაპარაკოდ დამორჩილებას. კოლონიების მინისტრს არც კი სჯერა, რომ ეს ან რომელსამე მინისტრს ეთქვას როდისმე. ნამდვილად კი თითონ ჩემბერლენიცა და ლორდ სოლსბერიც აქამდე სულ იმას გაიძახოდნენ, რომ ბურები უპირობოდ, ულაპარაკოდ უნდა დავიმორჩილოთო. ასე რომ ჩემბერლენს ეხლა თავისი ლაპარაკის კილო შეუცვლია და უფრო წყნარად, ტკბილად ულაპარაკნია. ეს ჩემბერლენისთვის სამძიმო არაა: ეს იმნაირი კაცია, რომ დღეს ერთს იტყვის, ხვალ სხვას მოიგონებს, ზეგ კიდე სხვას გამოაბამს კილოს.

ზოგი ჰფიქრობს, ვითომც ჩემბერლენის მორბილება და დაწყნარება კარგის მომასწავებელი ნიშანიაო. იქმნება მალე ვეღირსნეთ, რომ სამხრეთ-აფრიკაში სისხლის ღვრა შეწყვეტილიყოსო. ვნახოთ, გამართლდება ეს იმედი, თუ არა.

შეერთებული შტატები. გაზეთებს შეუტყვიათ, რომ მთავრობამ გადაწყვიტა, როცა პრუსიის პრინცი ჰენრიხი ამერიკაში მოვა, საიდუმლო პოლიციის მთელი ერთი ბრიგადა მიუჩინოს პრინცს. სადაც პრინცი წავა, ბრიგადაც ყველგან გაჰყვება და არავის არ მიუშვებს პრინცთან. გზა-და-გზა, სადაც პრინცი გაივლის, ხალხს არ მისცემენ ნებას, რომ პრინცთან ახლო მივიდეს; ყველამ შორიდან უნდა ნახოს. თეატრებში თუ სხვა დაწესებულებაში, სადაც კი იმპერატორ ვილჰელმ II-ის ძმა მივა, ისეთ კაცს არავის შეუშვებენ, რომ დირექცია კარგად არ იცნობდეს. ამერიკის ჩვეულების ძალით, რაც უნდა დიდი კაცი იყოს, მაინც მოვალეა ყველა მნახველს ხელი ჩამოართვას, მაგრამ პრინცი არ შეასრულებს ამ ჩვეულებასა და ხელს არავის არ ჩამოართმევსო.

✥ ბურების წარმომადგენელმა პირსონმა ხელ-ახლად შეიტანა სასამართლოში თხოვნა, რომ შეერთებული შტატებიდან ცხენებისა და ჯარების წაყვანა ინგლისის ჯარისათვის სამხრეთ-აფრიკაში აიკრძალოსო. პირსონმა ადრეც შეიტანა სასამართლოში ამნაირი თხოვნა, მაგრამ სასამართლომ მაშინ უპასუხა, ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ პოლიტიკური საქმეა და მარტო გარეშე საქმეთა სამინისტროს შეუძლიან მაგისი გადაწყვეტაო. პირსონს ამ დღეებში პრეზიდენტ რუზველტთანაც ჰქონდა ამ საგანზე ლაპარაკი.

ავსტრ-უნგრეთი. დიდ-ძალი ხალხია ავსტრ-უნგრეთში უსაქმოდ დარჩენილი. მთავრობა ვერას ჰშველის ამ ხალხსა, ამიტომ უსაქმოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი ძლიერა ჰღელავს და ირევა ყველგან. 10 იანვარს უნგრეთის დედაქალაქ ბუდა-პეშტში უსაქმო ხალხმა კრების გამართვა დააპირა, მაგრამ პოლიციამ არ მისცა ამის ნება. შემდეგ ხალხმა დემონსტრაციის მოხდენა მოინდომა ქუჩაში, მაგრამ პოლიციამ ბევრნი დაატუსაღა და დემონსტრაცია აღარ მოხდა. ქალაქ რეკაში უსაქმო ხალხის რიცხვი თანდათან მატულობს. ნაღმიანი ნავებისა და სხვა ქარხნებში, ეგრეთვე ნავთ-სადგურზედაც მუშაობა შეამცირეს. რეკაში ეხლა 1000-ზე მეტი კაცი იქმნება უსაქმოდ დარჩენილი.

სამხრეთ-აფრიკა. ჰააგაში ამბავი მოსულიათ ბურებისაგან, რომ ამ ჟამად კაპის კოლონიაში მეტად ცუდად მიდის ინგლისელების საქმეო. კაპელი ბურების აჯანყება თან-და-თან ძლიერდება, უფრო და უფრო ბევრი კოლონისტი შედის ბურების ჯარშიო. დატყვევებულ სარდლების ლოტერისა და შეფერსის სიკვდილით დასჯამ თვით ინგლისის ერთგული კოლონისტებიც კი ააშფოთა და აალელვაო. ეხლა დიდი იმედია, რომ ბურებმა კაპის კოლონიაში გაიმარჯვონ. ტარკასტადის ქალაქის დამცველი რაზმი თავის ნებით გადავიდა ბურების მხარეს.

ბურების სარდლებს მოლაპარაკება აქვთ გამართული, რომ ტრანსვაალი, ორანჟის რესპუბლიკა და კაპის კოლონია შეართონ, ერთი დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფო დაარსონ და ამ სახელმწიფოსათვის ერთი მთავრობა დააწესონ.

„დეილი ნიუს“-ი შენიშნავს, იქნება ეს ამბავი მართალიც იყოსო.

იტალია. „გაზეტ ოფიციალე“-ში შაბათს ამნაირი ცნობა იყო დაბეჭდილი:

„საზოგადოება ძლიერ აღელვებულია ამ ბოლოს დროს. ამბობენ, რკინის გზებზე მოსამსახურენი გაფიცვას აპირებენო. მინისტრების საბჭომ განიხილა ეს საქმე და დაადგინა, რომ რკინის გზების მოსამსახურეთა გაფიცვა ჩვეულებრივი, კანონით ნება-დართული გაფიცვა როდია; ეს მოსამსახურეები თანამდებობის მქონენი მოხელეები არიან და ამიტომ იმათი გაფიცვაც სისხლის სამართლის ძალით უნდა დაისაჯოს. ეს გაფიცვა საზოგადოებრივ მშვიდობიანობას მთლად დაარღვევს და იტალიის წესიერ ეკონომიურ ცხოვრებას დიდ ზარალს მოუტანს. ამიტომ მთავრობა არას დროს ნებას არ მისცემს მოსამსახურეებს, რომ ეს საქმე მოახდინონ. პირ-იქით, ძლიერ სასტიკ ღონისძიებასაც მიიღებს, რომ რკინის გზის მოსამსახურეებმა კანონი არ დაარღვიონ და სახელმწიფოს ზარალი არ მისცენ. მეორეს მხრივ მთავრობა იმ აზრისაა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს სრული კანონიერი უფლება აქვთ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვონ, ამიტომ მთავრობა რკინის გზის სამსახურის წესებს განიხილავს და რაც ცუდი, სასტიკი წესებია, სულ გამოცვლის. ამას გარდა მთავრობა ცდილობს, რომ რკინის გზის ამხანაგობებს მოსამსახურეების სამართლიანი თხოვნა შეასრულებინოს. მთავრობას იმედი აქვს, რომ ორივე მხარის შეთანხმებას მალე მოახერხებს.

ახალი ამბავი

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ მოსკოვიდან: „გუშინ, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე მოსკოვში ჩამოსულ **ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაციას** სადგურზე მიეგებნენ მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი, დეპუტატები და სხვა გუბერნიების თავად-აზნაურთა წინამძღოლნი. პირველად დეპუტაცია მივიდა ივერიის ღვთის მშობლის საყდარში, სადაც დეპუტატები ემთხვიენ წმ. ხატს. საღამოს 8 საათზე კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში დეპუტაციას სადილი გაუმართა მოსკოვის თავად-აზნაურობამ. საკრებულოს დარბაზში დეპუტაციას მიეგება მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ტრუბეცკოი და მიართვა მას პურ-მარილი. დიდ დარბაზში, რომელიც ელექტრონით იყო გაჩირაღდნებული, სადილობდა 250 კაცი. თავ. ტრუბეცკოიმ წარმოსთქვა სიტყვა და ქართველ. თავად-აზნაურობის სადღეგრძელო დალია; შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თავ. მელიქიშვილმა და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პენზის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ევლიჩმა, გრაფმა ს. დ. შერემეტიევმა, თავ. ლ. ს. გოლიცინმა და სხვათ. სადილი გაგრძელდა ღამის 11 საათამდე. დღეს, 21 იანვარს, გაიმართება მეჯლისი“.

✦ 20 იანვარს, **მოსკოვის არქეოლოგიურ** საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე ამოირჩიეს მდივანი და 23 ახალი წევრი, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ წარსულის წლის 21 და 27 ოქტომბრის სხდომაზე. ამასთანავე თავმჯდომარემ ბ. ლოპატინსკიმ მოახსენა საზოგადოებას, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ კეთილ ინება და თავის მფარველობის ქვეშ მიიღო საზოგადოების კავკასიის განყოფილება, ხოლო მისმა უმაღლესობამ ხელმწიფე მემკვიდრემ მიხეილ ალექსანდრეს ძემ ბრძანა, გარდაეცეს განყოფილების სასარგებლოდ 3,000 მან. სახსოვრად ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძისა. კრებამ დაადგინა, ეს ფული ხელ-უხლებელ თანხად დასტოვონ და მხოლოდ იმისი სარგებელი მოიხმარონ.

✦ 25 იანვრიდან **დაიწყებს მოქმედებას** საადრესო სტოლი, რომელიც პოლიცმეისტერის სამმართველოსთან დააარსეს. ამ ჟამად, პოლიცმეისტერის განკარგულებით, დამზადებულია ამ საქმისთვის წიგნები და ბლანკები, რომლებიც დაურიგდათ კიდეც საპოლიციო უბნებს.

✦ ქალაქის საფინანსო კომისიამ განიხილა ქალაქში საადრესო სტოლის შემოღების საქმე და იმ დასკვნას დაადგა, რომ შემოსავალი **სრულიად არ ეყოფა საადრესო სტოლის ხარჯს**. როგორც წინადაც მოხსენებული გვქონდა, ამ საქმეზე ყოველ წლივ უნდა დაიხარჯოს 6,000 მან. და პირველ მოწყობისათვის ცალკე 2,000 მან. ერთხნობით. ეს ხარჯი რომ დაიფაროს, დღეში 16 მან. 65 კაპ. უნდა შემოუვიდეს საადრესო სტოლს. მაგრამ კომისია ამტკიცებს, რომ ამდენი შემოსავალი თვის დღეშიაც არ იქმნება, რადგანაც ქალაქში იმდენი მცხოვრები არ არის, რომ ეს მოთხოვნილება ჰქონდესო. ამის გამო და იმის გამოც, რომ ქალაქს მეტად დიდი ხარჯი აქვს უიმისოდაც, საფინანსო კომისიამ გარდასწყვიტა, რომ ქალაქის ხარჯით საადრესო სტოლის დაარსება ადრეულია.

✦ საგუბერნიო მმართველობის განკარგულებით, მეეზოვეთა ინსტიტუტის წესრიგი, რომელიც 25 იანვარს უნდა იქმნეს შემოღებული, გამოიცა რუსულს, ქართულს და სომხურ ენებზე. ეს წესრიგის დებულება უნდა დაურიგდეს ყველა მეეზოვეებს, რომელთაც დაწვრილებით უნდა შეისწავლონ იგი.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქმა საჭიროდ დაინახა, რომ კავკასიის ქალაქებში, მათ შორის ტფილისშიაც **გაიხსნას სამრეწველო სასწავლებლები**, რათა ხალხში გავრცელდეს ტეხნიური განათლება. მაგრამ რადგანაც ამ სასწავლებლების შენახვა ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა იკისროს, ამისათვის ყველა ქალაქებს დაევალათ, რომ რაც შეიძლება მალე შეატყობინონ სამოსწავლო ოლქს, რამდენით შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ამ სასწავლებლის გახსნაში.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის წარმომადგენელმა კავკასიაში მოსთხოვა ბ.ბ. მ. მაჩაბელს და გოსნევსკის, რათა წარმოადგინონ მათ მოხსენება მაზე, თუ რა შეიმუშავეს მათ წარსულ წელში სახელმწიფო გლეხთა **ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების** შესახებ ალექსანდროპოლის მაზრაში.

✦ ტფილისში არსებობს ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა **შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება**; ამ საზოგადოებას იმდენი მატერიალური ძალა არ აქვს, რომ მიზანს მიაღწიოს და ჯეროვანად დაეხმაროს ღარიბ მოსწავლეთ. დღეს, 23 იანვარს ამ საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად ძმათა ნიკიტინების ცირკში გაიმართება წარმოდგენა. იმედი უნდა ვიქონიოთ, ტფილისის საზოგადოება დაესწრება ამ წარმოდგენას და აღნიშნულს საზოგადოებას დახმარებას გაუწევს.

✦ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში კურს შესრულებულთ გარდაწყვიტეს დაარსება ტფილისის სატეხნიკო საზოგადოების **საურთიერთო დამხმარებელის საზოგადოებისა**. წესდება საზოგადოებისა შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია; წევრთაგან საკმაო თანხაც მოუკრებიათ და ამ მოკლე ხანში განზრახვა აქვთ უკვე შეუდგნენ საქმეს. შაბათს, 26 იანვარს, საღამოს $6\frac{1}{2}$ საათზე, ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოს სადგომში დანიშნულია აღნიშნულ საზოგადოების წევრთა პირველი საზოგადო კრება, რომელზედაც განსახილველად აქვთ მოხსენება საქმის მეთაურთა; ამავე კრებაზე უნდა ამორჩეულ იქმნენ აგრეთვე თავმჯდომარე და წევრები საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

✦ გუშინ, 22 იანვარს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ ხმის უმეტესობით ტფილისის საბაღოსნო სკოლის **გამგედ** ამოირჩია მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კურს დამთავრებული პეტრე გრიგოლის ძე ივანოვი.

✦ ხვალ, 24 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა **ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიისა**, რომელმაც, სხვა საქმეთა შორის, უნდა ამოირჩიოს ავლაბრის საქალაქო სკოლებისათვის ქართული ენის მასწავლებელი.

✦ ტფილისის სახალხო კითხვების გამგე კომისიამ მიჰმართა ქალაქის გამგეობამ, რომ **შეასწორონ და გაასუფთაონ** ქალაქის ადგილი მტკვრის მარჯვენა მხრივ ვერის ხიდის ქვემოდ, სადაც განზრახვა აქვთ გააშენონ ბაღი მომავალ საზაფხულო სახალხო თეატრის წინ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნულია სხდომა, რომელზედაც უნდა მოილაპარაკონ საბეითალო ზედამხედველობის გაძლიერებით შესახებ სპარსეთის და ოსმალეთის **საზღვრებზე**. ამ რჩევაზე გადასწყვეტენ რამდენი ბეითალია საჭირო ამ საქმისთვის, რამდენი საბეითალო სადგურის ადგილი უნდა აირჩიონ და სხვ. ამ სხდომას დაესწრებიან: ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, საბეითალო ნაწილის მმართველი კავკასიაში და საგუბერნიო ბეითლები ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქისა, რომლებიც უკვე გაიწვიეს პეტერბურგს.

✦ ქალაქის ერთმა ბეითალმა შეიტანა თხოვნა ქალაქის გამგეობაში მაზე, რომ, რადგანაც მომავალის 1903 წლის 2 იანვრიდან 12-დე პეტერბურგში უნდა მოხდეს პირველი სრულიად **რუსეთის ბეითალთა კრება** უსაჭიროეს საბეითალო კითხვების განსახილველად, ამიტომ საჭიროა ქალაქიდანაც გაიგზავნოს კრებაზე დასასწრებლად ერთი ბეითალთაგანი ქალაქის ხარჯით; ამისთვის საჭიროა ეხლავე ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ამ საქმისთვის საჭირო ხარჯი — 300 მანათი.

✦ რადგანაც შავი ზღვის ნაპირების საკულტურო ადგილები სატყეო დეპარტამენტის გამგეობაში გადავიდა, ამის გამო გარდაწყვეტილია ამ წელს **ტეხნიკოსთა შტატი** გაადიდონ, რათა მალე დასრულდეს საკულტურო მუშაობა. ამ სამუშაოში ხელმძღვანელობა დაევალა მიწად-მოქმედების სამინისტროს მოხელეს ბ. სტარკს. ამასთანავე ერთად აღძრულია კითხვა, რომ ამავე წელში დაწესდეს საკულტურო ადგილები თერგისა და დაღესტნის ოლქებშიაც.

✦ ორშაბათს, 21 იანვარს, ტფილისის პოლიცმეისტერმა შეატყობინა ტფილისის პოლიციის ბოქაულებს, რომ, კავკასიის მთავარ მართებლისაგან 4 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, 23 იანვრიდან შეუდგება იმის შემოწმებას, თუ რამდენად მოხერხებულად აქვთ მოწყობილი ეტლები **ტფ. მეეტლეებს** და აგრეთვე რამდენად ესმით მათ საზოგადოდ მეეტლეს ვალდებულება. ამ ცირკულიარის ძალით პოლიცმეისტერი და სხვა სპეციალისტ პირებთან ერთად დღეს, 23 იანვარს, დილის 7 საათზე გამოცდის ერევნის მოედანზე ყველა იმ მეეტლეებს, რომელნიც სცხოვრებენ პოლიციის 1, 2, 3, 4, მე-5 და 6 ნაწილებში; 24 იანვარს დათვალიერებულ იქნებიან კახეთის მოედანზე ავლაბარში მცხოვრები 170 მეეტლეთაგან 90 მეეტლე, ხოლო დანარჩენნი 25 იანვარს იმავე მოედანზე დილის 7 საათზე. 26, 27 და 28 იანვარს დილითვე დათვალიერებულ იქნებიან დესიმონოვის მოედანზე პოლიციის მე-8 ნაწილის მეეტლეები; დასასრულ 29, 30 და 31 იანვარს ავჭალის მოედანზე დათვალიერებულ გამოცდილ იქნებიან პოლიციის მე-9 და მე-10 ნაწილების მეეტლეები.

✦ რადგანაც პირველი თებერვლიდან **ძალაში უნდა შევიდეს** სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ, ამის გამო უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველმა დაავალა ყასბებს, ხორცი ხარისხებად დაყონ და მტკიცედ აღასრულონ დადგენილებანი; ამასთანავე დიდი ყურადღება მიაქციონ დუქნების სისუფთავეს.

✦ ტფილისის პოლიციმეისტერის მოთხოვნილების თანხმად, ქალაქის გამგეობამ დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ექვსს აგენტს, რათა ისინი დაესწრნენ ქალაქის მეეტლეების **გამოცდას**.

✦ გუშინ, 22 იანვარს, ქალაქის არქიტექტორმა, მელიქ-ბეგლიაროვმა, წარუდგინა ქალაქის გამგეობას გამგეობის **სამშენებლო განყოფილების** 1901 წლის მოქმედების ანგარიში. როგორც ანგარიშიდან სჩანს, საამშენებლო განყოფილების 1901 წლის განმავლობაში განუხილავს 264 სხვა-და-სხვა შენობის პროექტი, 264 პროექტი სახლების შეკეთებისა, განცხადებანი ძველ შენობების დათვალიერების შესახებ, ძველ შენობათა დათვალიერება, სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ოქმების შედგენა და სხვანი ყოფილა სულ 1187; საამშენებლო განყოფილებას 1901 წლის განმავლობაში შეუკეთებია და ახლად მოუკირწყლავს სულ

3298 ოთხ-კუთხ- საჟენის ზომის ქუჩა და მოედნები.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამმართველომ აცნობა ქალაქის თვით-მმართველობას, რომ მთავრობის განკარგულებით, აფიცრებს და სხვა სამხედრო უწყების მოხელეებს **მოუმატეთ ჯამაგირება** სადგომების ქირის გადასახდელად.

◆ ტფილისის მცხოვრებლებზე **დარჩენილ** სახელმწიფო გარდასადის ანგარიშიდანა სჩანს, რომ ეს გარდასახადი უდრის 224,000 მანეთზე მეტს. აქედან პოლიციას გარდაუხდევინებია მხოლოდ 27,000 მან. ამ გვარად ჯერ კიდევ კარგა ყოფილა მცხოვრებლებზე დარჩენილი გარდასახადი.

◆ ქალაქის საბაღოსნო ანგარიშიდან სჩანს, რომ წარსულ წელს ტფილისის ქუჩებზე **დაურგავთ** 1,000 ხე. ეს ხეები გამოტანილი ყოფილა ქალაქის სანერგედან· ასე ცოტა ხეები იმისთვის დაურგავთ, რომ ქალაქის სატყეო გამგე კომისიას საკმარისი ფული არა ჰქონია. ჰფიქრობენ, მომავალ შემოდგომაზე რაც შეიძლება ბევრი ხე დარგონ.

◆ რედაქციამ მიიღო №-I „მოგზაურისა“ შემდევის შინაარსისა: I სა ხალწლოდ ლექსი ყველგან მყოფისა; II ვერის ხევი, ანუ სკვირეთისა; III ისტორიის შესავალი; ბ. კ. IV საინგილო, ინგილო ჯანაშვილისა; V სატირალი ანუ გასვენება, აფრ მერკვილაძისა; VI ძველი ლექსი დავით აღმაშენებელზე VII ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, თარგ. ალ. ტატუნაშვილისა; VIII ამბავი კნ. ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკან. მთავარის ასულისა; IX ქართველთ მეფის ვახტანგის მეორედმოსვლა განჯას, თარგ. ფრანგულიდან, ა. კერკველაძისა; X სა ვირაო გაზეთს „კვალს“; XI ქართველთ მოქცევა, ლ—ძესი; სახალხო ისტორია საქართველოსი, ფარნაოზი.

◆ რედაქციამ მიიღო ი. პ. როსტომაშვილის გამოცემა, წ. I შემდეგი შინაარსისა: I პედაგოგია 1) ახალი სწავლა-აღზრდა 2), შიში-თავზარი და სიამოვნება სიხარული, 3) ცხოვრებაში გამოსადეგ ხელობათა გამავრცელებელი წრე მოზრდილ ქალთათვის II მეურნეობა-მრეწველობა: 1) სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა, 2) პური და მისი წესიერი თესვა-მოყვანა, 3) ვაზი, 4) უმთავრესი პირობანი ხეხილის გამრავლებისათვის, 5) ბრაკინის ვაშლი. III ჰიგიენა მკურნალობა: 1) ადამიანის ძვლები და მისი ავადმყოფობანი, 2) დიდგულა, დუდგულა. IV სამეცნიერო ნარევი: 1) კარლბერის კანონი. 2) რა არის პოლიტიკური ეკონომია?.

◆ ამ დღეებში ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას რაც შეიძლება ახლო მომავალში მოახდინოს განკარგულება ამატუნის ქუჩის მოკირწყვლის შესახებ. რადგან ამ ქუჩის მცხოვრებნი ქუჩის საძაგელ მდგომარეობით მეტად შევიწროვებულნი არიანო

◆ გუშინ, საღამოს 7 საათზე და 15 წ. ვანქის სობოროსთან იპოვეს მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა; ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

პრესსა

ბოლოს დროს რუსეთის ზოგიერთ კერძო ბანკებს კრიზისი დაუდგათ. ამის მიზეზი იყო—ბანკებისაგან ზოგიერთ საეჭვო საქმეების დაწყება და არა საიმედო სავაჭრო-სამრეწველო საქმეებში მონაწილეობის მიღება. ბირჟაზე გაჩნდა მრავალი სადივიდენდო ქაღალდი, რომლებით მაშინვე დაიწყო საშიში სპეკულიაცია. ბოლო ხანებში რუსეთში, საზოგადოდ, დაიწია ფასებმა სხვა-და-სხვა ქაღალდებზე და ბანკები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ბანკების მოქმედების განხილვამ აღმოაჩინა, რომ ამ სპეკულიაციებისათვის ბანკები სარგებლობდნენ არა მარტო საკუთარ თანხებით, არამედ ბანკში შესანახად მობარებულ ფულებითაც, რითაც ზარალი მიაყენეს კერძო პირთ. საქმე იქამდის მივიდა, რომ სააქციონერო სადგილ-მამულო ბანკებიც ჩაითრია სპეკულიაციამ, თუმცა ამ ბანკებს მტკიცედ განსაზღვრული საგანი აქვთ საწარმოებელი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სპეკულიაციასთან. მაგალითად, ხარკოვის სადგილ-მამულო ბანკის რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ბანკი არა საიმედო ფასიან ქაღალდებში ინახავდა თავის თანხებს. ამ გარემოებისთვის, როგორც გადმოგვცემს გაზ. „რუს. ვედომ.“, ყურადღება მიუქცევია ფინანსთა სამინისტროს და განუზრახავს შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებითაც უნდა მოწესრიგდეს გრძელ-ვადიანისა და მოკლე ვადიანის სესხის ბანკების მოქმედება. სხვა-და-სხვა საშუალებათა შორის, რომელთაც განზრახულია მიჰმართონ, ჩვენთვის საყურადღებო შემდეგია: ხარკოვის ბანკის რევიზიამ, როგორც ვსთქვით, აღმოაჩინა, რომ ბანკი არა საიმედო ქაღალდებში ინახავდა თავის თანხებს. ამის ასაცდენად ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს შესცვალოს სადგილ-მამულო ბანკების წესდების ის მუხლი, რომელიც შეეხება თანხების შენახვის საქმეს, იმ რიგად, რომ ბანკი ვალდებული იყოს სათადარიგო თანხა მხოლოდ სახელმწიფო ქაღალდებში ინახებოდეს. ეს საკითხი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკშიაც აღიძრა ამას წინად; ოპოზიციის ზოგიერთნი წევრი (თავ. ვლ. მიქელაძე, თავ. ალ. ჩოლოყაშვილი და სხვანი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ სათადარიგო თანხის ერთი ნაწილი კერძო ქაღალდებში ინახებოდეს; ბანკის გამგეობა ამის წინააღმდეგი იყო იმ მოსაზრების ძალით, რომ ეს სპეკულიაციაში ჩაითრევს ბანკს და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებს მას. როგორც „რუს. ვედომ.“-ის ცნობიდან ვხედავთ, ფინანსთა სამინისტროც ამ აზრისა ყოფილა.

რუსეთის ქრონიკა

∝ „მოსკოვ. ვედომ.“ სწერენ, რომ 20 დეკემბერს სამსახურიდან დაითხოვეს ფინლიანდიის სადამოჟნო უწყების დირექტორი ვინტერი, საპატიმროთა უწყების დირექტორი გრიპენბერგი და აბოს პოლიცმეისტერი ბარონი ამინოვი. ხსენებულ პირთ მონაწილეობა მიუღიათ ზოგიერთ დემონსტრაციებში. გარდა ამისა, ვინტერის დროს საზღვარგარეთიდან დიდძალი რევოლიუციონური წიგნები, ბროშიურები, სურათები და სხვა ამგვარი არა ლეგალური თხზულებანი მოდიოდა და სადამოჟნო უწყება მათ არ აკავებდა, ხოლო სადამოჟნო უწყების მოხელენი ხელს უწყობდნენ მათ გავრცელებას ხალხში.

∝ გუშინწინ ჩვენ გადმობეჭდილი გვქონდა „ნოვ, ვრემია“-დან ცნობა, რომ საშუალო სკოლის რეფორმის პროექტი მალე წარედგინება დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოს. ახლა „გრაჟდანინ“-ი იტყობინება, რომ ეს ცნობა მართალი არ არის: ამ პროექტს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ მხოლოდ მომავალ შემოდგომაზეო.

∝ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველთ, რომ პეტერბურგში მოწვეულია კომერციულ სასწავლებლების წარმომადგენელთა კრება. გაზეთებში ვპოულობთ ზოგიერთ ცნობებს ამ კრების შესახებ. სხვათა შორის, კრებას სასურველად არ უცვნია მოსწავლეთაგან წარმოდგენების გამართვა, რადგან ეს „ავნებს მოსწავლეთა ზნეობასაო“; მოსწავლეთაგან ჟურნალების გამოცემა კრებას სასარგებლოდ უცვნია; აგრეთვე სასარგებლოდ უცვნიათ სალიტერატურო საღამოების გამართვა.

∝ სახალხო კითხვათა გამმართველნი ძალიან შევიწროებულნი არიან იმით, რომ მეტად მცირეა რიცხვი იმ წიგნებისა და შინაარსითაც უვარგისნი არიან, რომელთა წაკითხვა ნება დართულია. ახლა, როგორც „ნოვ. ვრ.“ იტყობინება, საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს ნება დართოს, რომ სახალხო აუდიტორიებში იკითხონ ყველა ის წიგნები, რომელნიც ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში აქვთ.

∝ პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ებრაელთა ერთ-ერთ განმანათლებელ საზოგადოებას განუზრახავს დააარსოს რუსეთში უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი იმ ებრაელთათვის, რომელთაც არ იღებენ სასწავლებლებში. ამის გამო მთავრობის წინაშე მალე შუამდგომლობა იქნება აღძრული.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

შესრულდა ცხრა საათი, გავიდა კიდევ 15 წამი, მაგრამ არ იქნა, ოცდა მეშვიდე წევრი აღარ გამოჩნდა. ბოლოს აფრინეს კაცი ისაკ სოლომონიჩთან, რომელიც უთუოდ ამისთანა შემთხვევებისათვის არის არჩეული, და სხდომაც დაიწყო. ცენტრალური კითხვა —ზუბალაშვილის თავშესაფერის საქმე იყო. კამათი ხანგრძლივი და გაცხარებული იყო, რამდენათაც ეს ჩვენ ხმოსნებს შეუძლიათ. სამი აზრი იყო წარმოთქმული—გამგეობის უმრავლესობისა, გამგეობის უმცირესობისა და ბაზოვ-თუმანოვისა. გამგეობის უმრავლესობის აზრით, უნდა აშენდეს თავშესაფარი 30 უმწეოსათვის, რადგან ნაანდერძევი ქონება (375 ათასი მანეთი) მარტო ამ რაოდენობისათვის იქნება საკმარისიო. ჩერქეზიშვილისა და ენფიანჯიანცის აზრით კი, უთუოდ 60 უმწეოსათვის უნდა აშენდეს თავშესაფარი და დატოვებული თანხაც საკმარისი იქნება ამათ შესანახადო. ბაზოვი და თუმანოვი ორივე წინადადებას უკანოდ სთვლიან: ანდერძში ნათქვამია „არსენალის ქუჩაზე არსებული სახლი შეკეთდეს თავშესაფარისათვის“-ო; სახლის დანგრევა და სულ ახალის აშენება კი „შეკეთებას“ არ ნიშნავს და ამიტომ უფლებაც არა აქვს ქალაქს ახალის შენობის წარმოდგენილი პროექტი მიიღოსო. გარდა ამისა, ბაზოვმა, თავის აზრის დასამტკიცებლად, ის მოსაზრებაც მოიყვანა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მეტ უმწეოს დავეხმაროთ ცოტათი მაინც; წარმოდგენილ პროექტით კი, შეგვეძლება უმწეოთა პატარა რიცხვს მოვეხმაროთ, მაგრამ ისე კი, რომ ფუფუნებაში ვაცხოვრებთო.

თაიროვიც ამავე აზრისაა (აღსანიშნავია, რომ ამ ხმოსანს არ წაეკითხა ამ საქმის შესახები დაბეჭდილი მოხსენება, რომელიც ამ სამი კვირის წინად დაურიგდა ხმოსნებს; ამიტომ მან მოითხოვა მოხსენების სხდომაზევე წაკითხვა, რამაც მეტად ბევრი დრო დააკარგვინა საბჭოს).

ამათ წინააღმდეგ ბევრი ილაპარაკა ჩერქეზიშვილმა და ენფიანჯიანცმა (პირველი დებიუტი იყო და მჭერმეტყველებით მეტად ღარიბ საბჭოში მჭერმეტყველის სახელი ვერ მოიხვეჭა). ესენი ამტკიცებდნენ, რომ ჰიგიენა, ქალაქის დამშვენება და თვით მოანდერძეს კითილ-საქმის შესაფერად დაგვირგვინება თხოულობენ, თავშესაფარი ისეთი იქნეს, როგორიც პროექტშია წარმოდგენილიო—დიდი, ლამაზი და კარგად მოწყობილიო. ექიმებმაც მხარი მისცეს ამათ (იშვიათი მოვლენაა, რომ სამდენიმე ექიმი ერთის აზრისანი იყვნენ). თ. ბებუთოვი ამტკიცებდა, რომ არსებულ შენობის „შეკეთება“ ან „მოხმარება“ ყოვლად შეუძლებელია: სახლი ძველი და ნოტიოა და ამიტომ უთუოდ ახალი და კარგი შენობა უნდა ავაგოთო. იგივე აზრი გამოსთქვა სასანიტარო საექიმო ინსპექტორმა სტეფანოვმა. კამათის გაგრძელება ბევრს აღარ მოეწონა. კოჩარიანცმა განაცხადა: ნერვებ აშლილი ვარ და თუ არ შეგიწყვეტიათ ლაპარაკი, ეხლავე სახლში წავალო. სხვებს ეს არ განუცხადებიათ, მაგრამ წამოდგნენ და კარებისაკენ გაეშურნენ. გამგეობის ახალი წევრი უფრო მარდი გამოდგა და კარებს ხელი წაავლო, თან ემუდარებოდა, ცოტა კიდევ მოეცადნათ. როგორც იქნა ხალხი დაშოშმინდა და კითხვა გადაწყდა—უნდა აშენდეს თავშესაფარი, თანახმად წარმოდგენილ პროექტისა, სამოც უმწეოსათვის.

ამ კითხვის განხილვამდე, საბჭომ რამდენიმე წვრილმანი საქმეები გადაჰწყვიტა: მიიღო დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ლომბარდისა—8146 მ. 69 კ. მხედველობაში იქმნა მიღებული, რომ ქალაქს არ შემოუვა ნავარაუდევ სატრაქტირო გადასახადის შემოსავლიდან—8256 მ. 60 კ., მიიღო აგრეთვე გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ განხილული და შეცვლილი სავალდებულო დადგენილებანი ბაზრებისა და მოედნებისათვის. აღსანიშნავია ორი ცვლილება, რომელიც საკრებულოს მოუხდენია—შეუძლებელია ახალ გადასახადის დადება საქონლის შემომტანლებზეო და უკანონოა, ჩარჩები ვაიძულოთ ნაყიდი საქონელი ბაზარში მოიტანონ გასასყიდათაო.

სხდომა 12 საათზე გათავდა, რაც, ბ. შესტაკოვის სიტყვით, ჯერ არ მომხდარა ეხლანდელ საბჭოს არსებობის განმავლობაშიო.

დაბა-სოფლები

მეჯვრისხევში საქონლის ჭირის გაჩენამ დიდი ზარალი მოგვაყენა. რადგან შეშისათვის წასულმა უეჭველად მეჯვრისხევზე უნდა აიაროს და ჩამოიაროს და მეჯვრისხევი კი შეკრულია მთავრობისაგან, ამიტომ დიდ-გაჭირვებაში ვართ ხელთ-უბნელები უშეშობით და უფიჩხობით. რომ მეტი ღონე აღარ არის, შვილის დარ კაკლებს ვჭრით, ხეხილს ვჩეხავთ და ამ ყინვაში ისე გამოვდივართ. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი საქმე ცუდად იქნება. ვისაც ხეხილი არა აქვს მოსაჭრელი, იმან რაღა უნდა ჰქნას ნეტა! აქეთ უთოვლო ზამთარია და ხმელი ყინვაა. მიწა ყინვისაგან გაქვავებულია და არაფერი არა იმუშავება.

—

ს. ძევერა (გორის მაზრა, კარალეთის საზოგადოება). 19 ამ თვეს სოფელ ძევერაში მცხოვრებლის, აწ გარდაცვალებულის ი. ზედგინიძის ქვრივს, როცა ის მარტოდ-მარტო იყო თავისს მუნჯის-შვილით სახლში, ღამე, დაეცა შვიდი შეიარაღებული კაცი, გადალეწეს ფანჯრები და წაიღეს, რაც რამ მოეპოვებოდა: ტანისამოსი, ვერცხლეული, სპილენძეული და ერთის სიტყვით, რაც კი მოიგდეს ხელში.

19 ამ თვეს საღამოთი ზედგინიძის ქვრივს შეუნიშნავს, რომ ამათ სახლს ვიღაცა ზვერავს. ამას შეუჩივლია თავის მეზობელ აზნ. ჯავახოვებისათვის, მაგრამ ესენი რა წამლად დაედებოდნენ?!. როცა დაწოლილან და ერთი პირი დაუძინიათ, უცებ ამ ქალს ბრაგვანი შემოსმენია. თურმე ფანჯარას მიარტყეს დიდი ქვა და გადალეწეს. გულ-გახეთქილს ქალს მაშინვე გამოჰღვიძებია და ზეზე წამომხტარა. მაგრამ ბოროტ-გამზრახველთაც არ დაუცდიათ, სამი კაცი მაშინვე შიგ გადამხტარა, გაუღიათ კარები, აუნთიათ სანათი და ერთი კაციც კარებში ჩაუყენებიათ. სამსაც საწყალი ქალისათვის ხელ-ფეხი შეუკრავს და ისე დაუტოვებიათ. შემდეგ მუნჯ-ვაჟს გაუხსნია ხელ-ფეხი დედისათვის და გაქცეულან სოფელში. ამ საქმეში, როგორც ამბობენ, ოსები რეულან. იოსებ ზედგინიძის სიმინდი ოსებს ჰქონიათ სანახევროდ გასათოხნად აღებული. განსვენებულს იოსებს მოუჭრია სიმინდი, გაურჩევია და ჩაუყრია თავის ძარში. მონახევრისათვის უთქვამს, რომ მერმის რომ გათოხნით სიმინდს, მაშინ აიღეთ, რაც ეხლა დაგაკლდათ. ესენიც დაჰმუქრებიან და დღეს იმის ქვრივს ასე გადაუხადეს.

—

გორი. ამ თვის 18, სულხანა დ—ს წისქვილში, რომელსაც „დამწვარ წისქვილს“ ეძახიან, შეპარულან ქურდები, გაუღიათ ყველა კარები, აუშვიათ ჯაჭვით დაბმული ძაღლი, წაუყვანიათ და აგურხანებთან ნერგზე დაუბამთ. თვითონ დაუგდიათ, რაც ადვილად წასაღები ყოფილა, წაუღიათ, მერე შესულან საქათმეში, ოცი იხვისთვის მოუჭრიათ თავი, თორმეტი ბატისათვის, ოცზე მეტი ქათმისათვის, ჩაუყრიათ ტომრებში და წასულან. ხელთ-უბანსა და გორს შუა, გორიდან ესე ოთხ ვერსზე, სადაც გაჯსა სჭრიან, მიუტანიათ სამი ტომარა ამ ქათამ-იხვებით სავსე და ჩაუმალნიათ მიწაში. მეორე დღეს პატარა მწყემს ბაღლებს მიეგნოთ და დედ-მამისათვის შეეტყობინებიათ. იმათ კი გორში პატრონს შეატყობინეს. ჯერ ქურდები არ აღმოუჩენიათ.

—

სოხუმი. ამ თვის 15, ღამის 9 საათზე, შუა ქალაქში, ქუჩაში მიმავალ გვარამაძეს დაეცნენ უკანიდან სამი უცნობი კაცი. ერთმა სტაცა ხელი ყელში, ისე რომ დაყვირება ვეღარ მოახერხა, ორმა ცემა დაუწყო მუცელში და გვერდებში და თან ჯიბეებს უსინჯავდნენ. გვარამაძეს ცემისაგან გული შესწუხებია. ამ დროს გამოჩენილა აფთიაქის მოსამსახურე და ბოროტ-მოქმედნიც გაქცეულან. ბედზე გაქცეულებს გზა გადუღობა მომავალმა კაცმა და ერთი მათგანი დაიჭირა, მეორეც იმავე ღამეს შეიპყრეს და მესამე კი 19 ამ თვეს. პირველი ორი ეკატერინედარიდან რუსები არიან და მესამე კი სომეხია, ნოვოროსიიდან.

აქეთ მშვენიერი ამინდია შემდეგ გამუდმებული წვიმებისა.

—

ხუმელაგა (კავკავის მაზრა). მარიამობისთვეს აქეთ, ამ სოფელში მძვინვარებს საშინელი სენი—ყელჭირვება; ამ შეუბრალებელმა სენმა სწორედ მუსრი გაავლო ბავშვობას. ზოგ სახლში ოთხი-ხუთი იმსხვერპლა და ზოგში კი ბავშვის ხსენებაც გაწყვიტა. შინაურმა ქურდ-ბაცაცებმა ცხვრის, ინდოურის და ქათმის ხსენება გააწყვეს. ახლა სახლის ავეჯების პარვასაც მიჰყვეს ხელი.

—

ს. ხიდიჟუსიმთა (კავკავის მაზრა). აგერ თითქმის ერთი წელიწადი სრულდება, რაც ამ სოფელში წითელა და ყივანა ხველა მუსრს ავლებს ბავშვებს. ასევე მუსრს ავლებს წითელა სოფ. ნოვო-ურუხშიაც. ხიდიჟუსის მხარეს მთებში, ამ ზამთარს საშინელი ქარი იყო და მრავალი თივა და ქერის ჩალის ზვინი გაუფანტა მცხოვრებთ. ამის გამო საქონლის საკვები ძლიერ გაძვირდა აქეთ.

ნაამბარევი

I

მშვენიერი სანახავი ყოფილა ამ ასის წლის წინად ნაამბარევი; მაგრამ ეხლა ნაამბარევი წარმოადგენს ერთს ორ ღელეს შუა ამობერილს გორაკს, რომლის წარსულს ცხოვრებას მხოლოდ საჯვარე, ვეებერთელა ცაცხვი და ხალხში დარჩენილი ამბავი მოგვითხრობს. სასიმოვნო გასაგონი არ არის ჩვენი ყურისათვის ნაამბარევის ისტორია, მაგრამ მაინც მეტად არ ვსთვლით, ცოტა რამ ხალხში გაგონილი ვუამბოთ მკითხველს.

ამ ასის წლის წინად ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე დროს გასატარებლად რაჭის ერისთავი თავისს მხლებლებით,—იაშვილებით და წერეთლებით... მფლობელი ნაამბარევისა წულუკიძე იყო. მოიყრიდნენ ერთად თავსა და უნდა გეყურებინათ ამ მაღლობს ადგილზე, სიოს ბერვით გაგრილებულნი რა ნაირად ატარებდნენ დროს! წულუკიძის მოურავი რომ გასძახებდა ზნაკვაში, ქედისუბანში და ჯვარისაში *) მცხოვრებთ, დედი-მათის შვილნი იყვნენ და ნუ გამოვიდოდნენ და ხუმრობით არ აცინებდნენ! ვინც მოხდენილად იხუმრებდა, იმას ღირსებასაც მისცემდენ ხოლმე.—ყველაზე უფრო გასართობი რთველი იყო. ამ დროს რაჭის მებატონეები ყოველთვის ჰპატიჟობდნენ ერთმანერთსა და საქებიც ის იყო, ვინც მეტს ხალისს და მასპინძლობას გამოიჩენდა. ყველა კარგი იყო, იაშვილიც და ერისთავიცა, მაგრამ გიორგი წულუკიძის ნაამბარევზე დროს გატარების შესახებ, აი, რას მოგვითხრობს ხალხი.

ერთხელ თურმე გიორგი თავისი ძვირფასის სტუმრებით ნასადილევს დასეირნობდა ნაამბარევის ფართო ეზოში. ხუმრობას და მასხრობას საზღვარი არ ჰქონდა; მაგრამ გიორგი თვალის სეირს იყო ჩვეული და, თუ დროც ხელს მისცემდა, თვალსაც აამებდა უცხო სანახავით. გიორგის დიდი ნაგაზები თავის სიავით განთქმულნი იყვნენ ახლო-მახლო; ნაამბარევზე გადასვლას ისე ვერავინ გაბედავდა, თუ ნაგაზები დაბმულები არ ეგულებოდა. სწორედ იმ დროს, როცა გიორგი დასეირნობდა თავისი სტუმრებით, სასახლის ახლოს ხუთი მოზრდილი მოზვერი გამოჩნდა. გიორგიმ გულში ჩაიცინა ამის დანახვაზე და უბრძანა მოურავს: „წადი, ნაგაზები აუშვი და მიუტიე მოზვრებსა; კაი ხანია ჩემს თვალს სეირი არ უნახავს და ერთიც ვნახოთ, როგორ ითამაშებენ მოზვრებიო“. მოურავმა მაშინვე შეასრულა ბატონის ბრძანება: აუშვა ნაგაზები და მიუსია მოზვრებს. საწყალი მოზვრები, მათი ტანჯვა მნახველს დასწვავდა! ბღავილით გარბოდნენ ვაკე-მინდორზე და ძაღლებისაგან დაგლეჯილები სისხლით რწყავდნენ არემარეს. ბოლოს სისხლისაგან დაცლილები დავარდნენ ძირს და ძაღლებმა ხარბად დაუწყეს ფლეთა; სტუმარ-მასპინძელნი ამ სურათით ძალიან კმაყოფილნი რჩებოდნენ. ხშირად ერთობოდნენ ამ გვარ სურათებით! მოზვრების პატრონი გულში იხრჩობოდა, ბრაზსა და საყვედურის თქმას როგორ გაამხელდა. მაშინ ხომ ისიც ძაღლების სხვერპლად შეიქმნებოდა!

რაჭის პურ-მარილი განთქმულია ყველგან და, აბა, მითხარით, რა სჯობია რაჭის მდელოზე დროს ტარებას და ასეთს თვალის სეირსა!! ქეიფით და ღვინით ძლიერ ძლებოდნენ ჩვენი მთავრები, მაგრამ ერთობის გრძნობა მათ არ ჰქონიათ, კაცობრივი სიყვარული მათ გულში არ ყოფილა. იგინი არ იყვნენ ერთობისათვის დაბადებულნი. მათი ავლადიდება მათიმ უცელი იყო. ამიტომ ხშირად მოსდიოდათ ერთმანეთში უთანხმოება და ჩხუბი. წულუკიძეს იაშვილი არ სწამდა და ორივეს—ერისთავი. ამ მიზეზით მოისპო მათი ცხოვრება და მათი მოქმედება მხოლოდ ამბად დარჩა ერის ხსოვნაში, რომელიც მწარე სიცილსა ჰგვრის მსმენელს.

II

რაც დრო გადიოდა, ნაამბარევი იმოდენად ხუნდებოდა, ფერს ჰკარგავდა. სასახლე და საჯვარე დალპა უყაირობითა და ცაცხვსაც შტოები შეახმა. გიორგი წულუკიძე რუსებმა დაიჭირეს შემოსვლისას და მემკვიდრეები ისე დაქვეითდნენ შეძლებით, რომ თავისი მამული უთუოდ უნდა გაეყიდათ. დაჩვეულს კეთილს ცხოვრებას ბევრი რამ სჭირდებოდა!!.

მოგახსენებენ, გიორგი წულუკიძეს გონიერი ხაბაზი ჰყვანდაო; კარგი ხუმარაც ყოფილა ეგნატე კვახაძე და მასთან შორს მჭვრეტელობასაც არ ყოფილა მოკლებული. ბატონყმობა რომ გადავარდა, თავისის შრომით თავიც დაიხსნა ეგნატემ და ნაამბარევიც შეისყიდა ბატონისაგან. მ-გრამ ეგნატეს ამაყობას მარტო ეს არ შეადგენდა. იმ დროში „კლასობია“ მოიგონეს და თავისი შვილი „კლასში“ გაგზავნა სასწავლებლად. სწავლის საქმე კარგათ წაუვიდა ეგნატეს შვილს; საშუალო სასწავლებელი გაათავა და ნაამბარევის პატრონი მეურნეობის შესწავლას შეუდგა. ძველი სასახლე დაანგრია ნაამბარევზე, ცაცხვებიც დასჭრა; მხოლოდ საჯვარე შეაკეთა და დასტოვა იმ მოსაზრებით, რომ იგი მწარე წარსულის მომაგონები ყოფილიყო, რომ შთამომავლობას ერთბაშათ ამოეკითხა ამ საჯვარეზე მამა-პაპათა ცხოვრების ისტორია.

ის ფართო მდელო, რომელზედაც გიორგი წულუკიძე თავის უზრუნველი სტუმრებით თავისებურათ დასეირნობდა, ეგნატე კვახაძის მემკვიდრემ ერთბაშათ გადმოანგრია და სხვა-და-სხვა რიგათ გამოიყენა: ზოგან ვენახი გააშენა ახალს გემოზე, ზოგან ბოსტანი და ზოგანაც მშვენიერი ხე-ხილი.

სოზბიძე.

---

*) სოფლების სახელია რაჭაში.

მცირე შენიშვნა

გაზეთის „Кавк. сел. хоз.“-ს 415 ნომერში მოთავსებულია ბ. ტიმოფეევის რჩევა, თუ საიდან, რა ფასათ და რა საშუალებით შეუძლიან მსურველთ შეიძინონ ერთნაირი წვრილი თხილის ნერგები, რომელსაც რუსეთში ფუნდუკს უწოდებენ და რომლის სამშობლოთ სამეურნეო ლიტერატურა იცნობს ტრაპიზონის მიდამოებს. ამ თხილის ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ კანი აქვს ძლიერ თხელი და გული კი, რაც უნდა გახმეს, მაინც სავსეა ნაყოფით, მაშინ როდესაც სხვა ჯიშის თხილები ამ ღირსებას მოკლებულნი არიან.

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ მკითხველთ, ვისაც აინტერესებს ეს მართლაც საინტერესო თხილი, რომ მის ნერგების საშოვრათ სათათრეთში წასვლა სრულიად მეტი შრომაა, რადგან თვით ჩვენ სამშობლოში მრავალია ეს თხილი. მას ბევრს აშენებენ განსაკუთრებით ს. საჩინოში და მის მიდამო სოფლებში (ქუთ. მაზ.) და უწოდებენ ნემსა თხილს. მას კარგათ იცნობენ ქუთათური მეხილეები და ფუთში 1—2 მანეთს, მაში ყოველთვის მეტს აძლევენ, შედარებით სხვა ჯიშის თხილებთან. მას სათათრეთში, განსაკუთრებით ტრაპიზონის მიდამოში, ძრიელ ბევრს აშენებენ და ის იქ შეადგენს ერთათ ერთ ფულის საშოვარ სახსარს. იქ მას ისე უვლიან, როგორც ჩვენში ვენახს. ბევრნი პლანტაჟს უშვრებიან მიწას და ზედ ამას აშენებენ.

ილ. ჭიჭინაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

21 იანვარი

პეტერბურგი. გზათა სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ თავისი საქმეები დაასრულა. მგზავრთა მიმოსვლის გასაუმჯობესებლად გარდაწყვეტილია მატარებელთა რიცხვს მოუმატონ და ზოგიერთ გზებზე გააძლიერონ მატარებლების მიმოსვლა.

საავადმყოფოში უეცრად გარდაიცვალა გიორგი სკარამანგა; გარდაცვალებულის აღმოუჩნდ, 350,000 მანეთის სარგებლიანი ქაღალდები და კუპონები.

ჰააგა. ინგლისის ელჩს ბჭობა ჰქონდა გარეშე საქმეთა მინისტრთან და საბჭოს პრეზიდენტთან.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებით ინგლუ და ვანგვენშაო სახელმწიფო მდივნებად დაინიშნენ.

ჟიტომირი. გუბერნატორი შუამდგომლობს რომ საერობო მოსე გაკეთდეს 220 ვერსის მანძილზე, კიევო-კოველის რკინის გზის სადგურ ბელოკუროვიჩიდან დაწყებული ნოვგოროდ-ვოლინსკზე, სტაროკონსტანტინოვოს და პროსკუროვზე.

მოსკოვი. ფარულმა პოლიციამ შეიპყრო ცნობილი ქურდი გავრილოვი, რომელმაც შმიტის სახლიდან ძვირფასი ნივთეულობა მოიპარა.

საგუბერნიო ერობაში აღძრულია კითხვა, რომ სახალხო კითხვების საქმე მოწესრიგდეს და ამასთანავე მაზრებში დაწესდეს სახალხო კითხვათა გამგის თანამდებობა.

ვარშავა. ვარშავა-ვენის რკინის გზაზე სცადეს ორთქლ-მავალების ნახშირის მტვრით გახურება და კარგი აღმოჩნდა.

ტიუმენი. საჭიროდ ხედავენ, რომ ახალი გზა გაიყვანონ ციმბირის დიდს გზამდის; ამ გზამ უნდა შეაერთოს ომსკი, იშიმი და ტიუმენი.

კიევი. საქველმოქმედო საზოგადოების საავადმყოფოში მოსიარულე დედაკაცთა შორის, აღმოაჩინეს ერთი კეთრით ავადმყოფი დედაკაცი.

22 იანვარი

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანებანი: დაინიშნა ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწე გენერალი პერლიკი ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის წევრად, კონსული კორეაში პავლოვი ელჩად კორეაშივე, ოლონეცკის გუბერნატორი ლევაშოვი ხერსონის გუბერნატორად; რუსეთის ელჩს ბერლინში ოსტენ-საკენს ებოძა პირველი ხარისხის ვლადიმირი 50 წლის სამსახურის გამო.—ფინანსთა სამინისტროსაგან: უკანასკნელ ხანებში მეთამბაქოეთა შორის გავრცელდა ხმა, ვითომც ფინანსთა სამინისტროს განზრახვა ჰქონდეს გადასინჯოს თამბაქოს მრეწველთა წარმომადგენლებთან ერთად თამბაქოს გადასახადის წესდება და გამოცვალოს ეხლა არსებული სისტემა სააქციზო გადასახადის გადახდევინებისა. ეს ხმა სრულებით მოკლებულია საფუძველს.—ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა 5000 მანეთი მეთევზეობის საიმპერატორო საზოგადოებას პეტერბურგში თევზეულობის საერთაშორისო გამოფენის მოსაწყობად.

ტამბოვი. ტამბოვის გუბერნიის სამრევლო სკოლებისათვის გადადებულ თანხას წელს მოუმატეს 100,000 მ. ამიტომ სასულიერო მთავრობამ შესაძლებლად სცნო ეხლავე გახსნას საშუალო განათლების პატრონ მასწავლებლების ჯამაგირი 300 მ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. შინაგან საქმეთა მინისტრის მონდობილობით საგუბერნიო საკრებულომ შეადგინა პროექტი ს. პავლოვის (გორბატოვის მაზრა) საქალაქო თვითმმართველობის რეფორმისა. განზრახვა აქვთ შემოიღონ შემოკლებული ერობა 117 გლეხისაგან და 12 სხვა წოდებათა წარმომადგენელთაგან; სამაგიეროდ ამათაც გაეწერებათ სასოფლო ხარჯები.

ხარკოვი. მთა-მადნის მრეწველთა დღევანდელ სხდომაზე მოახდინეს რამდენიმე დადგენილება, რომელნიც თხოულობენ საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ მაშინებზე, ამათ შორის სამეურნეო იარაღებზე, და აგრეთვე ლითონისაგან ნაკეთებ საგნებზე ბაჟის მომატებას. განზრახვა აქვთ მოახდინონ რუსეთის მაშინების მკეთებელთა საზოგადო კრება.

ბერლინი. ელჩი გრაფი ოსტენ-საკენი დღეს სასწაულობს 22 იანვარს 50 წლის იუბილეს. გაზეთები ქებით იხსენიებენ მის დამსახურებას.

ჰააგა. შეკითხვაზე, თუ რა შინაარსისაა ნიდერლანდიის მთავრობის წინადადება და პასუხი ამ წინადადებისა ინგლისის მთავრობის მხრივ, გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ინგლისის პასუხი ეხლა ნიდერლანდიის მთავრობის ხელშია, მაგრამ შინაარსს ჯერ ვერ გამოაცხადებენ, რადგან ინგლისის მთავრობის სურვილია ინგლისშიაც და აქაც ერთ დროს გამოცხადდეს იგი.

კონსტანტინეპოლი. ახლად დანიშნული კომისარი ოსმალეთისა წავიდა სოფიაში.

ლონდონი. ლორდების პალატა დაიხურა 28 იანვრამდე. პალატამ მიიღო დამატებითი სამხედრო ბიუჯეტი მას შემდეგ, რაც ბალფურმა განაცხადა, რომ შეუდგებიან იმ შემთხვევების გამოკვლევას, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჰუნგრეთში ცხენების ყიდვის დროს. ბალფურმა განაცხადა, რომ, როგორც იგი იმედოვნებს, ჰოლანდიის მთავრობის წინადადების შესახებ დოკუმენტები ხვალ იქნება გამოცხადებული.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ხდ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

Открыта подписка на 1902 годъ
(Двадцать третій годъ)
НА ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНІЕ
РУССКАЯ МЫСЛЬ

Вышла январская (первая) книга содержаніе 1) Все прилично. Повѣсть. П. Д. Боборыкина. 2) Спрутъ. Калифорнскій романъ. Франка Норрисъ. Пер. съ англ. А. Г. 3) Новый годъ. Ив. Бунина. 4) Лилитъ. Стихотвореніе М. Лохвицкой. 5) Нащъ собратъ по перу Обуховъ. Разсказъ. Ѳ. Ѳ. Тищенка. 6) Элленъ фонъ-деръ Вейденъ (Дневникъ) Габріэли Рейтеръ. Пер. съ нѣм. Н. К. 7) Романъ въ клѣткѣ. Повѣсть. Евг. Чирикова. 8) Двѣ. Новелла Элизы Ожешковой. пер. съ польск. В. М. Л. 9) Стихот. Ив. Бунина. 10) Очеркъ развитія нѣмец. художественной литературы въ XIX вѣкѣ. М. Г. 11) Изъ исторіи одной деревни. (Записки волоколамскаго крестьянина). С. Т. Семенова. 12) Современные французскіе дѣятели, I Жоржъ Клемансо. Х. Г. Инсарова. 13) Въ Гоголевщинѣ. В. А. Гиляровскаго. 14) Изъ жизни еврейскаго пролетаріата. Б. Л. Вольфензона. 15) Письма И. С. Тургенева къ Н. А. Некрасову. 16) Не въ очередь. В. А. Гольцева. 17) Болѣзнь и смерть Гоголя. Н. Н. Баженова. 18) О библіотекахъ при училищахъ—ученической и учительской и о каталогахъ для нихъ. А. А. Стаховича. 19) Внутреннее обозрѣніе. 20) 1901 годъ въ политическомъ отношеніи. В. А. Гольцева. 21) Ирининская община. Князя А. И. Сумбатова (Малый театръ). В. Е. 22) Письмо въ редакцію правленія Коломенской общественной библіотеки. 23) Библіографическій отдѣлъ. 24) Объявленія.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россіи: на годъ 12 р., 9 мѣс.—9 р., 6 мѣс.—6 р., 3 м.—3 р., 1 м.—1 р. За границу на годъ—14 р., 9 м.—10 р. 50 к., 6 м.—7 р., 3 мѣс.—3 р. 50 коп., 1 мѣс.—1 р. 25 коп.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ годовой цѣны журнала.

Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ отдѣленіи конторы журнала—при книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова, Литейный, д. 46. ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина, Крещатикъ. ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль» находится складъ изданій.
(3. 1—1) Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 22 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის.